



შპს გაგა1 (ს/კ 400002812)

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის



შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	გვ.3
სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება	გვ.4
ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ	გვ.5
ფულადი სახსრების მოძრაობა	გვ.6
განმარტებითი შენიშვნები	გვ.7



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
აქტივები						
მიმდინარე აქტივები						
ფული და ფულის ექვივალენტები				4	1 959 415	1 142 906
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				5	1 409 699	1 312 710
სასაქონლო მატერიალური მარაგები				6	859 765	1 000 694
საგადასახადო აქტივი					666 486	388 713
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები					4 895 365	3845023
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები				7	29 203	371 227
არამატერიალური აქტივები				8	559	657
სულ გრძელვადიანი აქტივები					29 762	371 884
სულ აქტივები					4 925 127	4 216 907
კაპიტალი და ვალდებულებები						
მიმდინარე ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				9	31 696	47 699
სულ მიმდინარე ვალდებულებები					31 696	47699
საკუთარი კაპიტალი						
საწესდებო კაპიტალი					100	100
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი					4 893 331	4 169 108
სულ საკუთარი კაპიტალი					4 893 431	4 169 208
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					4 925 127	4 216 907

სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება					შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები						28642811	23 703 625
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება						25 848 466	(21 200 054)
საერთო მოგება						2 794 345	2 503 571
სხვა შემოსულობა					10	0	107 938
დასაქმებულთა ანაზღაურება						(131 730)	(438 850)
იჯარის ხარჯი						(79 322)	(79 322)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი					11	(360 133)	(193 263)
ცვეთის ხარჯი						(13 235)	(90 105)
სულ საოპერაციო ხარჯები						584 420	(693 602)
საოპერაციო მოგება						2 209 925	1 809 969
არასაოპერაციო შემოსავალი					12	5211	107 863
არასაოპერაციო ხარჯი					13	0	(82 266)
მოგება დაბეგვრამდე						2 215 136	1 835 566
მოგების გადასახადი						0	0
მოგება/(ზარალი)						2 215 136	1 835 566
სხვა სრული შემოსავალი						0	0
წლის მთლიანი სრული შემოსავალი						2 215 136	1 835 566

ანგარიში კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2019 წ. 31 დეკემბრის		
დასრულებული წლისთვის	დამფუძნებლის კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება
1 იანვარი 2018წ	100	3 334 042
ცვლილებები კაპიტალში		(500)
გაცემული დივიდენდები		(1 000 000)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		1 835 566
31 დეკემბერი 2018წ	100	4 169 208
ცვლილებები კაპიტალში		(4 608)
გაცემული დივიდენდები		(1 486 405)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		2 215 136
31 დეკემბერი 2019წ	100	4 893 331

ფულადი სახსრების მოძრაობა					2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან					816509	9790
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან					0	0
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან					0	0
წმინდა ზრდა(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში					816509	9792
სავალუტო კურსის ეფექტი					0	0
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში					1142906	37222
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს					1959415	47012



სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია გაგა1 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი, სანაპირო, კორპ.13, ბ.20, საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ.თბილისი, კედია ქ.15. მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა სხვა საკვებით. 2.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

ვინაიდან კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, შპს გაგა1 სარგებლობს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „სარეკომენდაციო მითითებით მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

- ფული და ფულის ექვივალენტები ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ატარებს ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

- წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაფასდება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.
- ამონაგები ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების და გაყიდვასთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე. გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც საქონელი მიწოდებულია მომხმარებლისთვის და შესრულებულია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დამონტაჟების სამუშაო.
- ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:
 - ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის; და
 - ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

გ.ჯანუყაშვილი
ო.ადამია

ძირითადი საშუალების ერთეულების შეფასება ხდება შემდეგნაირად: თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

მომსახურების ვადა(წელი)

- სატრანსპორტო საშუალებები 8 წელი
- საოფისე ინვენტარი 5 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5 წელი
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 5 წელი

□

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ელემენტს:

(ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; ეს დანახარჯები შეიძლება მოიცავდეს აქტივისთვის ადგილის მომზადების დანახარჯებს, აქტივის ადგილზე მიტანისა და ჩატვირთვა/გადმოტვირთვის დანახარჯებს, მონტაჟისა და აწყობის დანახარჯებს, ასევე მისი ფუნქციური შესაძლებლობების ტესტირების დანახარჯებს;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შემენის მომენტში, ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა მიზნებისთვის, რაც დაკავშირებული არ არის მოცემულ პერიოდში მარაგის წარმოებასთან. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი სახის დანახარჯები და საწარმომ ისინი უნდა აღიაროს ხარჯად მათი გაწევისთანავე: ა) ახლი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯები;

ბ) ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯები (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯების ჩათვლით);

გ) ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯები (პერსონალის სწავლების ჩათვლით);

დ) ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები დანახარჯები; და

ე) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (იხ. 25-ე განყოფილება - „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“).

ძირითადი საშუალებების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებულია ზოგიერთი სახის არაარსებითი საქმიანობა, რომელიც აუცილებელი არ არის აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად, ან მის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ასეთ დამხმარე ოპერაციებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში არ შედის ჩვეული საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნული აქტივები, ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული წარმოების პროცესში მონაწილე აქტივები და ნედლეულისა და მასალების სახით წარმოდგენილი აქტივები, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. ასეთი აქტივები არის მარაგები (იხ. მე-13 განყოფილება - „მარაგები“).

არამატერიალური აქტივები ასევე არ შედის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში. ისინი აღირიცხება მე-18 განყოფილების - “არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა” გამოყენებით.

ისეთი ერთეულები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობა აღიარდება ძირითად საშუალებად, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ ძირითადი საშუალებების განმარტებას. მაგალითად, თუ ასეთი ერთეულების გამოყენება მოსალოდნელია ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კლასიფიცირდებიან ძირითად საშუალებებად. თუ ისინი ვერ დააკმაყოფილებენ ამ განმარტებას, მაშინ ისინი კლასიფიცირდებიან, როგორც მარაგები.

- არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 7 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.
- მარაგები მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



- სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.
- საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ვალდებულებები ჯგუფს საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აღებული აქვს საფისე და სასაწყობე ფართი.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული
საიჯარო გადასახდელები, რომელიც მიმდინარე წელს
აღიარებულია ხარჯად

2019წელი

2018წელი

ლარი

ლარი

79322

79322

4. ფული და ფულის ეკვივალენტი

	31.12.2019	31.12.2018
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	377646	298739
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1568323	113184
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	13446	730983
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1959415	1142906

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს ორ ბანკში, ვითიბი ბანკსა და პროკრედიტ ბანკში.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1383207	633499
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	22870	672739
საბაჟოზე გადახდილი ავანსები	3622	6472
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1409699	1312710

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2019	31.12.2018
	ლარი	ლარი
საქონელი	859765	984117
სხვასასაქონლო მატერიალური მარაგები		16577
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	859765	1000694

7. ძირითადი საშუალებები

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს
სატრანსპორტო საშუალება	366974	0	330000	12247	24727
საოფისე ინვენტარი	1849	0		370	1479
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2107	1114		476	2745
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	297	0		45	252
სულ ძირითადი საშუალებები	371227	1114	330000	13138	29203

8. არამატერიალური აქტივი

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს
კომპიუტერული პროგრამა	657	0	0	99	558

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	31696	47699

10. სხვა შემოსულობა

სხვა შემოსულობა წარმოდგენილია სატვირთო გადაზიდვებიდან მიღებულ შემოსავლის სახით.

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	31.12.2019
	ლარი
ბანკის საკომისიო	14507
ინვენტარი	251
პროდუქტის დაფასოების ხარჯი	38419
სამივლინებო ხარჯი	
ავტომანქანის ხარჯი	3724
დაზღვევის ხარჯი	
მოგების გადასახადი ხარჯი	262306
სხვადასხვა ხარჯი	40926
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	360133

12. არასაოპერაციო შემოსავალი

	ლარი
საკუროსო მოგება	5211
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	5211

